ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3788954

ნომერი: AR1567580

თარიღი : 27.12.2017

გაცემის თარიღი : 23.01.2018

გაცნობის თარიღი : 23.01.2018

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გლდანი , მიკრო/რაიონი I და II მ/რ-ებს შორის (ნაკვეთი N16/44)) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კონსტანტინე დგებუაძე პ/ნ 01017002402
- ქ. თბილისი, ალ. გრიბოედოვის 17

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ განმეორებით ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ, რომ აღნიშნული ხარვეზების შესახებ თქვენ უკვე გეცნობათ #AR1567580 განცხადებაზე 2018 წლის 17 იანვრის #3781727 გადაწყვეტილებით, რაც თქვენი

მხრიდან სრულად არ არის გამოსწორებული, კერძოდ:
ვინაიდან თქვენ მიერ ფოტომონტაჟზე დაზუსტებულ იქნა სარეკონსტრუქციო ფასადის გაბარიტული ზომები, საჭირო იყო დაგეტანათ ფასადზე არსებული ყველა სარეკლამო აბრის გაბარიტული ზომა, პროცენტულობაში გეანგარიშათ მთელ ფასადზე არსებული აბრების ფართობები და გაგეთვალისწინებინათ: „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების მე-18 მუხლის, მე-10 პუნქტის თანახმად განაშენიანების რეგულირების წესებისა და მოქმედი კანონმდებლობის დაცვით მოწყობილი საინფორმაციო ან/და სარეკლამო აბრების, წარწერების, ყუთების, ბილბორდების და სხვა მსგავსი ელემენტების ჯამური ფართობი არ უნდა აღემატებოდეს განთავსების ადგილზე (არა)საცხოვრებელი ერთეულის შესაბამისი ფასადის ან/და სახურავის ნაწილის ფართობის 20%–ს.
სამსახურის 2018 წლის 17 იანვრის #3781727 გადაწყვეტილებით დაგევალათ წარმოგედგინათ განახლებული დოკუმენტაცია, ამავე გადაწყვეტილებით გეცნობათ, რომ სათანადო და სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, განაცხადი დარჩებოდა განუხილველი. ვინაიდან ზემოაღნიშნული ხარვეზი არ არის გათვალისწინებული, 2018 წლის 17 იანვრის #3781727 გადაწყვეტილების შესაბამისად, წინამდებარე განცხადება დარჩა განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.